ანოტაცია

ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე, გარემოს დაბინძურებამ გლობალური ხასიათი მიიღო. დაბინძურების წყაროები მრავალგვარია. ლოკალური დამაბინძურებელი აგენტები სწრაფად ვრცელდებიან გარემოში და იკავებენ ახალ არეალებს. გარემოს დამაბინძურებლად ითვლება ყველა ის ახალი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური აგენტი, რომელიც ხვდება გარკვეულ ეკოსისტემაში და მისთვის არ არის დამახასიათებელი. დაბინძურებათა უშუალო ობიექტებს წარმოადგენენ მიწა, წყალი, ნიადაგი, ატმოსფერო; ხოლო არაპირდაპირ ობიექტებს მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები და ადამიანი.

გარემოს დაბინძურება არის ნივთიერებათა და ენერგიის დაკარგვის არასასურველი პროცესი, რომელიც გამოწვეულია ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად, გარემოს დაბინძურებას მოჰყვება როგორც ცალკეული ეკოსისტემების, ასევე მთელი ბიოსფეროს შეუქცევადი რღვევა, მათი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების შეცვლა. დაბინძურების შედეგად იკარგება ნაყოფიერი მიწები, მცირდება ეკოსისტემებისა და მთელი ბიოსფეროს პროდუქტულობა. დაბინძურება პირდაპირ თუ არაპირდაპირ აუარესებს ადამიანის, როგორც საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ძალის ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობას.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მეტად აქტუალურ პრობლემურ საკითხს - სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ბუნებათსარგებლობის შედეგად გამოწვეულ ეკოლოგიურ პრობლემებს შეეხება და მას ეძღვნება ნაშრომის 4 ძირითადი თავი, სადაც განხილულია საქართველოს სატრანსპორტო მეურნეობის განვითარების ისტორიული ასპექტები; საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ბუნებათსარგებლობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები და ადამიანის ჯანმრთელობა; ავტომაგისტრალის მშენებლობასა და ექსპლოატაციის ეტაპებთან დაკავშირებული ღონისძიებები და რეკომენდაციები.